პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

12 ნოემბერი
კვირა
1961 წ.
№ 132 (1818)

გამოცემის მე-18 წელი.

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფრენბურთის ფედერაციაში

სსრკ ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა თბილისელ ფრენბურთელებს დ. გოცირიძეს (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და ი. მიხანაშვილს (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი).

წელს საბჭოთა კავშირში სულ 39 ფრენბურთელს მიენიჭა სსრკ სპორტის ოსტატის წოდება. მათ შორის ერთ ათეულზე მეტი თბილისელი სპორტსმენია.

## სტარტზე — სოფლის სპორტსმენები

კიშინიოვის სტადიონზე ოთხ დღეს გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის მძლეოსანთა უკანასკნელი შეჯიბრება მიმდინარე სეზონში. ამჯერად სტარტზე გამოვიდნენ სოფლის სპორტსაზოგადოებათა მძლეოსნები თითქმის ყველა რესპუბლიკიდან.

საქართველოს სპორტსმენებმა პირად ჩათვლაში რამდენიმე საპრიზო ადგილი მოიპოვეს, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მახარაძელი ვ. ბლიაძის წარმატება ვაჟთა შორის ბირთვის კვრაში. მან ძირითად კონკურენტთან, ესტონელ ლ. სეპთან ორთაბრძოლაში შეძლო ოქროს მედლის მოპოვება—15.71 მ.

მხოლოდ გამოუცდელობით დაჰკარგა ოქროს მედალი შ. ართმელაძემ. მან ვაჟთა შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში დაიწყო 165 სმ-დან და 190 სმ-ის დაძლევით დაამთავრა. ასეთივე სიმაღლე დაძლია უკრაინელმა ბ. რაკმაც, მაგრამ სამაგიეროდ ბრძოლა დაიწყო 170 სანტიმეტრიდან და პირველობაც მას დარჩა.

სამი მეორე ადგილი მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა. კ. გორძამაშვილმა შუბი ტყორცნა 67 მ 25 სმ-ზე. გ. გუდაშვილმა ბადროს ტყორცნაში 69 სანტიმეტრით დაუთმო ჩემპიონობა ლატვიელ ლ. კივლენიეკს. ქალთა გუნდმა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე წააგო მხოლოდ „უროჟაის" (რსფსრ) გუნდთან.

კარგად გამოვიდა ამ შეჯიბრებაზე ი. სანგულიაც. მართალია, ათჭიდი გუნდური პირველობის პროგრამაში არ შედიოდა, მაგრამ პირადი პირველობა მაინც გათამაშდა. აქ მან პირველად შეასრულა პირველი თანრიგი (მოაგროვა 5602 ქულა) და მოიპოვა მესამე ადგილი.

• • •



**სურათზე:** სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობის ოქროს მედლის მფლობელი ვ. ბლიაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა



**სურათზე:** ქუთაისის „ტორპედოსა" და ტალინის „კალევის" გუნდების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი კიშინიოვის „სამთა ტურნირიდან". ქუთაისელ ფეხბურთელთა შეტევა მოწინააღმდეგის კართან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# დღეს მატჩია!

დღეს, 12 ნოემბერს თურქეთში შედგება ბოლო მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში V შესარჩევ ჯგუფში. თამაშობენ თურქეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები.

ჩვენი ქვეყნის მილიონობით ფეხბურთის მოყვარული დიდი ინტერესით მოელის ამ მატჩს. მართალია, სსრ კავშირის ნაკრებს საგრძნობი უპირატესობა აქვს (6 ქულა, მაშინ, როცა თურქებს აქვთ 4 ქულა), მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოხვედრისათვის ჩვენ გვჭირდება კიდევ ერთი ქულა. დამარცხების შემთხვევაში საბჭოთა ფეხბურთელებს მოუწევთ კიდევ ერთი დამატებითი შეხვედრა ნეიტრალურ მინდორზე.

სადღეისოდ უკვე ცნობილია ფინალის 10 მონაწილე. ესენია: ბრაზილია, ჩილი, არგენტინა, ურუგვაი, კოლუმბია, უნგრეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ინგლისი, მექსიკა, იტალია. საბჭოთა კავშირის გუნდს რეალური შანსები აქვს დაიკავოს მე-11 ვაკანტური ადგილი.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდი ამ საპასუხისმგებლო მატჩისათვის დაკომპლექტდა შემდეგნაირად:

მეკარეები — ლ. იაშინი („დინამო", მოსკოვი), ვ. მასლაჩენკო („ლოკომოტივი", მოსკოვი), ს. კოტრიკაძე („დინამო", თბილისი).

**მცველები** — გ. ჩოხელი („დინამო", თბილისი), ა. შესტერნევი (ცსკა), ა. მასლიონკინი („სპარტაკი", მოსკოვი), ე. დუბინსკი (ცსკა), ლ. ოსტროვსკი („ტორპედო", მოსკოვი).

**ნახევარმცველები** — ი. ნეტო („სპარტაკი", მოსკოვი), ნ. მანოშინი („ტორპედო", მოსკოვი), ვ. ვორონინი („ტორპედო", მოსკოვი).




**თავდამსხმელები** — ს. მეტრეველი („ტორპედო", მოსკოვი), გ. ხუსაინოვი („სპარტაკი", მოსკოვი), ვ. ივანოვი („ტორპედო", მოსკოვი), გ. გუსაროვი („ტორპედო", მოსკოვი), მ. მესხი („დინამო", თბილისი), ი. ჩისლენკო („დინამო", მოსკოვი), ა. მამიკინი (ცსკა), ვ. ამბარცუმიანი (ცსკა), ვ. პონედელნიკი (სკა, როსტოვი).

როგორც ხედავთ, სსრ კავშირის ნაკრები გუნდი შედგენილია „ა" კლასის 7 გუნდის მოთამაშეთაგან, რომლებიც 3 ქალაქის წარმომადგენლები არიან: მოსკოვი (16), თბილისი (3) და როსტოვი (1). ყველაზე მეტი მოთამაშეები ნაკრებში ჰყავთ მოსკოვის „ტორპედოს" (6), ცსკა-ს (4), თბილისის „დინამოს" (3) და მოსკოვის „სპარტაკს" (3). პარადოქსალურია, მაგრამ ფაქტია, რომ წლევანდელი სეზონის უკრაინის ორ საუკეთესო გუნდს, 1961 წლის ჩემპიონს „დინამოს" და თასის მფლობელს — „შახტიორს" ნაკრებში არ ჰყავთ არც ერთი წარმომადგენელი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნაკრების წევრთა საშუალო ასაკმა რამდენადმე დაიკლო (მეკარეები — 27,3, მცველები — 25, ნახევარმცველები — 25,5, თავდამსხმელები — 24). ნაკრებში ყველაზე ხანდაზმულია მეკარე ლ. იაშინი — 32 წელი. ყველაზე ახალგაზრდაა ა. შესტერნევი — 20 წელი.

ნაკრების შემადგენლობაშია 20 მოთამაშე, მათგან 11 საუკეთესოს შეარჩევს გუნდის უფროსი მწვრთნელი გ. კაჩალინი, მაგრამ ამ დღეებში „ა" კლასის ფინალური ჯგუფის გუნდების კაპიტნებს დაეგზავნათ ანკეტები, სადაც მათ უნდა შეედგინათ ნაკრების თავიანთი ვარიანტი. ხმათა უმრავლესობით ნაკრებმა შემდეგი სახე მიიღო: მეკარე — ლ. იაშინი (7 ხმა); **დაცვა** — გ. ჩოხელი (8), ა. მასლიონკინი (7), ე. დუბინსკი (5), **ნახევარდაცვა** — ვ. ვორონინი (8), ი. ნეტო (6); **თავდასხმა:** მ. მესხი (8), ს. მეტრეველი (8), ვ. ივანოვი (7), ვ. ამბარცუმიანი (5), ვ. პონედელნიკი (4).

თუ სსრ კავშირის ნაკრებმა თურქეთში მიაღწია გამარჯვებას, გუნდი გაემგზავრება ტურნეს ჩასატარებლად სამხრეთ ამერიკაში. სავარაუდოა, რომ 18 ნოემბერს იგი ბუენოს-აირესში შეხვდება არგენტინას, 22 ნოემბერს სანტ-იაგოში—ჩილისა და 26 ნოემბერს მონტევიდეოში — ურუგვაის ნაკრებს.

თურქეთში გამგზავრების წინ საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ერევანში ჩაატარა ამხანაგური საწვრთნელი მატჩი სომხეთის ნაკრებ გუნდთან. სსრ კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 8:0. ბურთები გაიტანეს მამიკინმა (3), ამბარცუმიანმა (3) და გუსაროვმა (2).

ნაკრები გამოდიოდა შემდეგი შემადგენლობით: იაშინი; დუბინსკი, მასლიონკინი, ჩოხელი, ვორონინი, ნეტო, მეტრეველი, ამბარცუმიანი, გუსაროვი, მამიკინი, მესხი.

## რინგი... სპორტის სასახლეში

15 ნოემბერს სპორტის სასახლე გადაიქცევა საბჭოთა კავშირის მოკრივეთა 1961 წლის გუნდური შეჯიბრების სარბიელად.

შეჯიბრების დებულების თანახმად ჩვენი ქვეყნის უძლიერესი კოლექტივის სახელის მოსაპოვებლად ბრძოლაში ჩაებმებიან სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების ნაკრები გუნდები.

ამ საინტერესო ასპარეზობის პირველ დღეს ნახევარფინალში გასვლის უფლების მოსაპოვებლად თბილისის სპორტის სასახლის რინგზე ერთმანეთს ხვდებიან „დინამოსა" და უკრაინის „ავანგარდის" მოკრივეთა კოლექტივები, ხოლო 16 ნოემბერს რსფსრ-ს „ტრუდისა" და საბჭოთა არმიის მოკრივეთა გუნდები.

დარჩენილი კოლექტივების ორი წყვილი — „შრომითი რეზერვები", „ლოკომოტივი" და „ბურევესტნიკი"-„სპარტაკი" 18 და 19 ნოემბერს ერთმანეთს შეხვდებიან ლენინგრადში ორი ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ნახევარფინალისაკენ მიმავალ გზაზე.

30 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე ნახევარფინალში და ფინალში გასული გუნდების შეხვედრები ჩატარდება კიევის სპორტის სასახლეში.

**ა. ზაქრაძე,**
**სახელმწიფო მწვრთნელი კრივში.**

## სამატჩო შეხვედრა

ერევანში ჩატარდა სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს უძლიერეს სპორტსმენთა სამატჩო შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში. ამ საინტერესო ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის სპორტულ ღირსებას იცავდნენ ა. კრავჩენკო, ზ. გვასალია, ა. ოვნანიანი და ლ. სალუქვაძე.

თბილისელმა ა. კრავჩენკომ შეჯიბრების უკანასკნელ სახეობაში (მძლეოსნური კროსი) მეოთხე ადგილი დაიკავა, მაგრამ საერთო ჯამში დაგროვილი 4876 ქულით მაინც მოიპოვა პირადი პირველობა. მომდევნო ადგილებს დაიკავეს ვ. ზახარენკომ და თბილისელმა ა. ოვნანიანმა — 4797 ქულა.

საქართველოს ხუთჭიდელთა კოლექტივმა 14086 ქულით გუნდური პირველობა დაისაკუთრა. მეორეზე არიან სომხეთის და მესამეზე—აზერბაიჯანის ხუთჭიდელთა კოლექტივები.

**ს. გრიგორიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საკავშირო რეკორდი დამყარდა სოხუმში

„აფხაზმონკავშირის" სტენდზე გაიმართა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა სასტენდო სროლაში. ცეცხლის ხაზზე გამოვიდა 60-ზე მეტი სპორტსმენი. ადგილიდან სროლაში უძლიერესი იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. ნიკანდროვი, რომელმაც 300-დან 295 ქულა მოაგროვა და დაამყარა ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი.

მრგვალ სტენდზე სროლაში ყველაზე კარგი მაჩვენებელი ჰქონდა სპორტის დამსახურებულ ოსტატს ნ. დურნევს.

შეჯიბრებაზე მონაწილეობა არ მიუღიათ საქართველოს სპორტსმენებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სეგალევიჩს.

კ. დარახველია,
სპორტის ოსტატი.

# გორეულ კოლექტივებში

## ვამრავლებთ სპორტულ მიღწევებს

ქუთაისში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს აბრეშუმკომბინატის ფიზკულტურული კოლექტივი. აქაური სპორტსმენებს არაერთხელ უსახელებიათ თავი საქალაქო შეჯიბრებებში. ნაყოფიერად მუშაობს სპორტული სექციები 14 სახეობაში, რომელთა შორის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან კალათბურთის, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის, ტყვიით სროლის, ცურვის, წყალში ხტომის ჯგუფები. ისინი რეგულარული წვრთნით თითქმის უცვლელად პირველ ადგილებს იკავებენ საქალაქო ღონისძიებებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში კომბინატში შეიქმნა მეთევზეობის, მონადირეთა და სასტენდო სროლის სექციები, რომლებსაც საზოგადოებრივი დატვირთვით ხელმძღვანელობს კომბინატის დირექტორის მოადგილე და ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარე ბ. ყანჩაველი.

ჩვენი ფიზკულტურელების მიღწევები გაპირობებულია ახალგაზრდულ ჯგუფებთან ნაყოფიერი მუშაობით. ბავშვთა სექციები ძირითადად დაკომპლექტებულია კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა შვილებით.

კომბინატს ჰყავს არაერთი მოწინავე სპორტსმენი. ისინი წარმატებით ათავსებენ შრომასა და გამაჯანსაღებელ მუშაობას. 8-დაზგოსან ვ. ბოიკოს პირველი თანრიგი აქვს კალათბურთში და მეორე — მძლეოსნობაში. მას არ ჩამორჩებიან მქსოველები გ. ხვედელიძე, ო. კანკავა, ძაფსაღები წარმოების მუშები, პირველთანრიგოსანი კალათბურთელები ლ. ჩუბინიძე, გ. ხისლაძე, მეორეთანრიგოსნები ცურვასა და წყალში ხტომაში რ. ხმირნოვა, ლ. ბედნაია, ბ. სანდოპოლო და სხვები.

ფიზკულტურული კოლექტივის წარმატებას ხელს უწყობს საკუთარი სპორტული ბაზის კეთილმოწყობაც. ჩვენი სპორტსმენების განკარგულებაშია სპორტული დარბაზი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, საცურაო აუზი 10-მეტრიანი სახტომი კოშკით და სხვა.

კომბინატის დირექციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით კოლექტივმა მიმდინარე წელს კიდევ უფრო გაზარდა მიღწევები და წლის დამთავრებამდე კარგახნით ადრე, 16 ოქტომბრისათვის შევძელით როგორც გეგმების, ისე ვალდებულებათა განაღდება.

სამეურნეო წლის დამთავრებამდე კიდევ ორი თვეა. ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ფიზკულტურულ კოლექტივს განზრახული აქვს ამ პერიოდში და შემდეგაც უფრო ნაყოფიერად იმუშაოს, იბრძოლოს იმისათვის, რათა ერთიორად გაამრავლოს მოპოვებული წარმატებანი, შეინარჩუნოს ქალაქში წამყვანი კოლექტივის სახელი და მიაღწიოს იმას, რომ ერთი მოწინავეთაგანი იყოს რესპუბლიკაში.

ვ. მიქაძე,
ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი.



**სურათზე:** ბათუმის ცენტრალური გადამტვირთავი ნავთობბაზის ხელბურთელთა ნაკრები გუნდი წვრთნის დროს. გუნდის წევრებს შეხვედრების დროს რჩევა-დარიგებებს აძლევს ნავთობბაზის ფიზკულტურის ინსტრუქტორი ბ. ფირცხალაიშვილი.

ფოტო რ. ჩაჩუასი.

# კოლექტიური შრომის შედეგი

სპორტსაზოგადოება „განთიადის" თბილისელი ხელბურთელები მშვიდად გრძნობდნენ თავს. მათთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა ბათუმელ მენავთობე სპორტსმენებთან ფინალური შეხვედრა. მართლაც, პირველად ბათუმელებმა ვერ გაუძლეს მოულოდნელ თავდასხმებს. მეტოქეებმა დაჯაბნეს ტექნიკითაც და გამოცდილებითაც. 7:4 — ასეთ ანგარიშს უჩვენებდა შუქფარი ტაიმის დასასრულს.

აპრილის მცხუნვარე მზე უხვად აფრქვევდა სხივებს. ბენო ფირცხალაიშვილი კი იდგა გაუნძრევლად, როგორც იტყვიან ხოლმე, დანა პირს არ უხსნიდა. მორიდებით მიუახლოვდა ოფლში გახვითქული შოთა შეულაშვილი. შოთას უკან მოყვებოდნენ ბიჭები. შოთა და მისი მეგობრები გულდასმით ისმენდნენ ფიზკულტურის ინსტრუქტორის შენიშვნებს...

მაღალი ტემპით დაიწყო მეორე ტაიმი.

ბათუმელებმა შეცვალეს ადგილები, შეცვალეს ტაქტიკა; თითქოს თვითონაც შეიცვალნენ.

... გათანაბრდა ანგარიში—12:12; 13:13; მერე თბილისელები გავიდნენ წინ — 14:13.

არ დაიბნენ ბათუმელები და ანგარიში ისევ გაათანაბრეს. შემდეგ მარჯვენა მხარეს გაიჭრა შოთა შეულაშვილი და თბილისელთა კარის მარჯვენა კუთხეში სტყორცნა ბურთი. მერე მეორე, მესამე. 17:14!

და გაისმის მსაჯის სასტვენის ხმა.

გორში გამართული რესპუბლიკის საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ ბათუმის ცენტრალური გადამტვირთავი ნავთობბაზის ხელბურთელები.

### აი, მათი საქმენი...

ბენო ფირცხალაიშვილი 1952 წელს მოვიდა აქ, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ.

32 წევრს აერთიანებდა ნავთობბაზის მაშინდელი სპორტსაზოგადოება „მენავთობე". ერთადერთი ფეხბურთის სექცია მუშაობდა, ისიც სუსტად, უღიმღამოდ. ფიზკულტურის ახალი ინსტრუქტორი მოვიდაო დაირხა ხმები ახალგაზრდებში.

არ დააყოვნა ბენომ — საამქროებს შორის შეჯიბრება მოაწყო და ნავთობბაზის კალათბურთელთა ნაკრები გუნდი შეადგინა. ოცამდე მსურველი აღმოჩნდა — სერგო დარცმელია, სერგო ბალასაროვი, ანატოლი ზახაროვი, ჯემალ შაქარიშვილი...

კალათბურთის სექციას ფრენბურთისა მოჰყვა; ჩამოყალიბდა სხვა სექციებიც: ჭადრაკის, სროლის, ველოსპორტის. ამ უკანასკნელის ორგანიზატორი იყო ამჟამად ოდესის მენავთობეთა ტექნიკუმის პირველი კურსის მოსწავლე ნიკოლოზ როდინოვი. უდედმამოდ გაზრდილი ჭაბუკი ნავთობბაზის მუშათა კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ ალექსანდრე კილასონიამ მოიყვანა აქ. ელექტრომექანიკურ საამქროში მოაწყეს იგი სამუშაოდ, თან მუშა-ახალგაზრდობის სალამოს სკოლაშიც სწავლობდა. როდინოვს საკუთარი საგზაო ველოსიპედი ჰქონდა და სისტემატურად ვარჯიშობდა. უსაზღვრო იყო მისი სიხარული, როცა სურვილი შეუსრულეს: შეიძინეს 6 სპორტული ველოსიპედი. სექციაში 12 სპორტსმენი გაერთიანდა.

შეიქმნა კიდევ ერთი ახალი, ხელბურთელთა სექცია. ამის ორგანიზატორობაც მუშა-სპორტსმენებს ეკუთვნით. ეს იყო შოთა შეულაშვილი. აეწყო საქმე, გამოცოცხლდა მუშაობა.

სულ მალე საუცხოო წარმატებებს მიაღწიეს. მარშან საიუბილეო და აჭარის სპორტსაზოგადოება „განთიადის" სპარტაკიადებზე მენავთობეებმა დაიკავეს საერთო გუნდური პირველი ადგილი, წელს კი პროფკავშირების სრულიად საკავშირო მეშვიდე სპარტაკიადისადმი მიძღვნილ აჭარის სპორტსაზოგადოება „განთიადის" სპარტაკიადის პრიზიორები იყვნენ, ხოლო ველორბოლასა და სიმძიმეების აწევაში — ჩემპიონები. ამას წინათ ველოსიპედისტებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ალკკ ბათუმის საქალაქო კომიტეტის გარდამავალ პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში და დაისაკუთრეს კიდეც ეს საპატიო პრიზი.

აჭარის ნაკრებ გუნდებში შეიყვანეს აქაური კალათბურთელები — ძმები მაჰავარიანები, ხელბურთელები — ვიტალი აბრამაშვილი, ოთარ ლაზბა, დემირი და ნუგზარ ლომთათიძეები. გიორგი ჩარკვიანი, ჟიგული არჩაია და ფრენბურთელი კოტე ფირცხალავა.

შრომაშიც სასახელონი არიან ნავთობბაზის სპორტსმენები. მათ ყველგან შეხვდებით. განსაკუთრებით ბევრი სპორტსმენია მეორე გადამტვირთავ საამქროში: ფრენბურთელები — კოტე ფირცხალავა, კარლო ოგბაიძე, გარიკ ნაჯარიანი, ანატოლი ზახაროვი, ძალოსანი ომარ გოგიტაძე, ხელბურთელი ზურაბ საყვარელიძე, ველოსიპედისტი ვიქტორ ხარტიკოვი...

— რომელი ერთი დავასახელო? — იღიმება საამქროს უფროსი ვარდენ ებრალიძე და მრგვალი პირისახიდან სათვალეებს იხსნის.

სიხარულის ღიმილი დასთამაშებთ სახეზე ბენო ფირცხალაიშვილსა და ნოდარ ესაძეს. ნამდვილად რომ ბევრი რამ აქვთ საამაყო: შვიდწლედის მეორე წელს გეგმის ზევით მოამზადეს 6 მეორე და 14 მესამე თანრიგის სპორტსმენი, 2 საზოგადოებრივი მწვრთნელი და 8 ფიზორგი. გეგმით არ ყავდათ გათვალისწინებული არცერთი პირველთანრიგოსანი, ამ თანრიგის ნორმატივი კი შეასრულა 10 სპორტსმენმა.

რაც მთავარია, პირნათლად გაანაღდეს პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება.

### და მაინც...

ეს სიტყვები ეკუთვნის თვითონ ნავთობბაზის ფიზკულტურის ინსტრუქტორს ბენო ფირცხალაიშვილს. ამ ადამიანმა სულ მოკლე დროში ბათუმის ცენტრალური გადამტვირთავი ნავთობბაზის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობა მთლიანად გარდაქმნა. ერთი ფაქტიც კმარა ამის დასადასტურებლად — თუ მას დახვდა 32 წევრი, დღეს ნავთობბაზის ფიზკულტურული კოლექტივი ითვლის 339 წევრს...

და მაინც უკმაყოფილოა ბენო ფირცხალაიშვილი. უკმაყოფილოა ამ კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ესაძეც.

დიახ, თუნდაც ეს იყოს მათივე ნაკლიც, ისინი მაინც გულახდილად აღიარებენ:

ფეხბურთელებს საქალაქო თუ სხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე გამოყავთ სრულიად მოუმზადებელი, ანდა სახელდახელოდ ნავარჯიშევი გუნდი; საინვენტარო ოთახსაც ასე მოუვიდა და ველოსიპედები ინახება საწყობში, აჭარის სპორტსკოლამ ნავთობბაზის ტერიტორიაზე არ გახსნა სექცია და დაიშალა მშვენივრად შეთამაშებული კალათბურთელ ქალთა გუნდი; გუნდი, რომელიც შარშან იყო აჭარის სპორტსაზოგადოება „განთიადის" ჩემპიონი. მეთოდისტის უყოლობის გამო არ ტარდება საწარმოო ტანვარჯიში, შესაკეთებელია სპორტდარბაზი; არიან მსურველები და არ ყალიბდება ჭიდაობის სექცია, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ტურიზმს..

მაგრამ, საყოველთაოდ ცნობილია: საქმეც და გამარჯვებაც სიძნელეებთან ბრძოლაში იჭედება!..

რ. ჩაჩუა

## საპრიზო ადგილზე

ამას წინათ ჩატარდა „შრომითი რეზერვების" ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო პირველობა. 7 გუნდი დაყოფილ იქნა ორ ქვეჯგუფად. პირველ ქვეჯგუფში თბილისელებმა ფრედ დაამთავრეს შეხვედრები ტაშკენტთან (2:2), ტულასთან (0:0), დაამარცხეს ხარკოვის გუნდი ანგარიშით 3:0 და ტულის შემდეგ მოიპოვეს მეორე ადგილი.

მეორე ქვეჯგუფში გაიმარჯვა როსტოვის გუნდმა. მეორე იყო სომხეთის გუნდი. ფინალურ ტურნირში როსტოველებმა ძლიეს ტულის კოლექტივს — 4:2 და მოიპოვეს გამარჯვებულის სახელი. თბილისელებმა დაამარცხეს ერევნის გუნდი (3:0) და მესამე ადგილზე გამოვიდნენ.

ი. რუხაძე

# ბრწყინვალე გამარჯვება

## ვრნიაჩკა-ბანია

მდგომარეობა X ტურის შემდეგ (12 ნოემბრისათვის)

| მონაწილენი | № | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხ. ჰუნდსურენი (მონღოლეთი) | 1 | X | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | 0 | * | * | | | | | | | |
| ა. რინდერი (გფრ) | 2 | 1 | X | 0 | 0 | ½ | 1 | ½ | 1 | 0 | | | | | | | | |
| ვ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია) | 3 | ½ | 1 | X | ½ | ½ | 1 | * | * | | | | | | | | 0 | 1 |
| ე. პოლიქრონიადი (რუმინეთი) | 4 | 1 | 1 | ½ | X | ½ | 1 | 1 | | | | | | | | ½ | 0 | 0 |
| გ. გრესერი (აშშ) | 5 | ½ | ½ | ½ | ½ | X | 0 | | | | | | | | 1 | ½ | 0 | 0 |
| შ. შოდე დე სილანი (საფრ.) | 6 | ½ | 0 | 0 | 0 | 1 | X | | | | | | | ½ | 0 | ½ | ½ | 0 |
| გ. კონარკოვსკა (პოლონეთი) | 7 | ½ | ½ | * | 0 | | | X | | | | | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | ½ |
| ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია) | 8 | 1 | 0 | * | | | | | X | | | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ |
| ლ. ვოლპერტი (სსრ კავშირი) | 9 | * | 1 | | | | | | | X | 1 | 0 | 0 | ½ | 1 | 0 | ½ | 1 |
| ტ. ზატულოვსკაია " | 10 | * | | | | | | | | 0 | X | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | * |
| კ. ზვორიკინა " | 11 | | | | | | | | 0 | 1 | 0 | X | ½ | 1 | 1 | 0 | ** | * |
| ნ. გაფრინდაშვილი " | 12 | | | | | | | 1 | 1 | 1 | 1 | ½ | X | 1 | ½ | 1 | 1 | |
| ვ. ბორისენკო " | 13 | | | | | | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | 0 | 0 | X | * | * | | |
| ლ. ლეინი (აშშ) | 14 | | | | | 0 | 1 | ½ | 1 | 0 | 0 | 0 | ½ | * | X | | | |
| ა. ნიკოლაუ (რუმინეთი) | 15 | | | | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | * | | X | | |
| მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია) | 16 | | | 1 | 1 | 1 | ½ | 0 | 1 | ½ | 1 | ** | 0 | | | | X | |
| ა. კარაკაშნე (უნგრეთი) | 17 | | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | ½ | ½ | 0 | * | * | | | | | | X |

შენიშვნა: * — პარტია გადადებულია, **—პარტია გამოტოვებულია.

ვრნიაჩკა-ბანია. (ტელეფონით). პრეტენდენტები თავისუფალ დროს მეგობრულ საუბრებსა და სეირნობაში ატარებენ. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერია ხოლმე დასვენების დღე.

მასპინძლების წინადადებით მოჭადრაკეებმა და მათმა მწვრთნელებმა დასვენების დღეს (9 ნოემბერს) მოაწყვეს ექსკურსია ძველ ტაძარ ლიუბასტინოში, რომელიც თოთხმეტიოდე კილომეტრითაა დაშორებული ვრნიაჩკა-ბანიას. კარგი მზიანი დარი იდგა. ტაძრის მკვიდრებმა ინტერესით მიიღეს სტუმრები, რომლებსაც დაათვალიერებინეს თავიანთი სამყოფელი, მოუთხრეს მის წარსულზე, რაც დაკავშირებულია იუგოსლავიის ხალხთა ბრძოლის ისტორიასთან. შემდეგ სტუმრებს მიართვეს ხილი, თაფლი, ყურძენი და ღვინო.

ყველა კმაყოფილი დაბრუნდა ვრნიაჩკა-ბანიაში. გაფრინდაშვილი კვლავ ჩაება მაგიდის ჩოგბურთის ხელდახელო ტურნირში. მისი დევიზია: „მხოლოდ მოგება". ამიტომ თამაშობდა ისეთივე გატაცებით, როგორც საჭადრაკო შეჯიბრებაში.

დღის მეორე ნახევარში გაფრინდაშვილი და მისი მწვრთნელი შიშოვი ემზადებოდნენ ახალი შეხვედრებისათვის. წინ კიდევ გადამწყვეტი, მნიშვნელოვანი შეხვედრებია.

## უკანასკნელ საათს!

გუშინ, 11 ნოემბერს შედგა X ტური. ამ დღეს გაიმართა შეჯიბრების ცენტრალური შეხვედრა— ლაზარევიჩი-გაფრინდაშვილი. ადრე ეს მოჭადრაკეები ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან საჭადრაკო დაფასთან. ლაზარევიჩს სურდა თბილისის 1961 წლის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა, მაგრამ საბჭოთა მოჭადრაკეებთან იუგოსლაველთა მატჩის გამო ადგილი დაუთმო ივანოვიჩს. ახლა, როცა ორივე მოჭადრაკე სათავეში ედგა ტურნირს, მათმა პარტიამ საერთო ყურადღება მიიპყრო.

ბრძოლა დაიწყო, როგორც მოსალოდნელი იყო, ბერდის დებიუტით, რომელსაც შესანიშნავადაა დაუფლებული იუგოსლავიის ჩემპიონი. გაფრინდაშვილმა თამაში განავითარა სიცილიური დაცვის დახურული ვარიანტის მიხედვით. აი როგორ მიმდინარეობდა თვით პარტია.

მ. ლაზარევიჩი-ნ. გაფრინდაშვილი

1. f4 c5 2. მf3 g6 3. e3 კg7 4. d3 e6 5. კe2 მe7 6. 0—0 მbc6 7. e4 d6 8. c3 0—0 9. კe3 ეb8 10. d4 f5 11. e5 cd 12. cd მd5 13. კc1 კh6 14. გ3 de 15. de b5 16. მc3 ლb6+ 17. მფ g2 ეd8?

გაფრინდაშვილმა ადვილად გაათანაბრა თამაში, მაგრამ ჩქარობს უპირატესობის მიღებას. გაკეთებული სვლის შემდეგ ლაზარევიჩი ეუფლება ინიციატივას, მაშინ, როცა ჯობდა მხედრების გაცვლა.

18. მ:d5 ე:d5 19. ლb3 კf8 20. კe3 კc5 21. კ:c5 ლ:c5 22. ეfd1 მe7 23. ეac1 ლb6 24 ე:d5 მ:d5 25 ლ:b5

ლაზარევიჩის ინიციატივას მოჰყვა პაიკის მოგება. მაგრამ პოზიცია რჩება მწვავე. ყველა „ნორმალური" გაგრძელებას პარტია მიჰყავს წაგებისაკენ. ამიტომ გაფრინდაშვილი ხარისხის შეწირვით იწყებს მძაფრ იერიშს მეფეზე.

25. ... ლe3! 26 ლ b8 ლ:e2 + 27. მფh3 მფg7!

შესანიშნავი სვლა. გაფრინდაშვილი ქსოვს საშამათო ქსელს. მხედრის აყვანა უცებ არ ვარგოდა.

28. ლ:a7+მფh6 29. ლa3 მფh5! 30 ეe1 ლf2 31. ლd3 კa6!

ბრწყინვალე კომბინაციური გაგრძელება. თეთრი მეფე განსაცდელშია. შამათი ან დიდი მატერიალური ზარალი გარდუვალია.

32. ლd1 მe3 33. ე:e3 კf1+

მ. ლაზარევიჩი დანებდა.

პარტიამ ჩაიარა მაყურებელთა უდიდესი ინტერესის ქვეშ. მასზე დასასწრებლად სპეციალურად ჩამოვიდნენ ცნობილი მოჭადრაკეები ბელგრადიდან, ზაგრებიდან, ლიუბლიანიდან და სხვა ქალაქებიდან.

— მთელ საღამოს, — გვითხრა შიშოვმა, — მწვავედ განვიცდიდით პარტიის პერიპეტიებს. 27-ე სვლის დროს ნონას საქმეები სავალალოდ გვეჩვენებოდა, მაგრამ მხოლოდ იგი ხედავდა მოგებაზე თამაშის რეალურ გზას. როცა გაფრინდაშვილმა გაიმარჯვა, დარბაზში ატყდა მქუხარე ტაში, რომელიც დიდხანს არ შეწყდარა.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებით გაფრინდაშვილი მტკიცედ დაეუფლა ერთპიროვნულ ლიდერობას.

მართალია, ლიდერების „დუელმა" თითქოს დაჩრდილა სხვა პარტიებში გამართული ბრძოლა, მაგრამ ისინიც საინტერესონი იყვნენ. ვოლპერტმა სიცილიურ დაცვაში ადვილად მიიღო პოზიციური უპირატესობა რინდერთან. გეგმიანი თამაშით მან მატერიალური უპირატესობაც მოიპოვა და გაიმარჯვა. მძიმე ბრძოლას ეწეოდა ნიკოლაუ ბორისენკოსთან. მან პაიკიც კი დათმო, მაგრამ გაჭირვებას თავი ვერ დააღწია. ერთადერთი, რაც შეძლო — პარტია გადადო. მაგრამ პოზიცია წასაგები აქვს. ზვორიკინას მხედველობიდან გამორჩა კარაკაშნეს შენიღბული კომბინაცია. პარტია თუმცა არ დამთავრებულა, მაგრამ ზვორიკინას პოზიცია უიმედოა.

ტურნირში პირველი გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთის ჩემპიონმა შოდე დე სილანმა გრესერთან მოგებით. გამარჯვების კარგი შანსები აქვს ნედელკოვიჩს ჰეემსკერკთან დაუმთავრებელ პარტიაში. ზატულოვსკაია ზედმეტ ხარისხს ინარჩუნებს ჰუნდსურენთან გადადებულ პარტიაში.

ამრიგად, X ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს 8 ქულა აქვს ცხრიდან, მ. ლაზარევიჩს — 6 ქულა და ერთი გამოტოვებული პარტია, ე. პოლიქრონიადეს — 5,5 ქულა.

დღეს, 12 ნოემბერს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, ხოლო 13 ნოემბერს, XI ტური.



ნ. გაფრინდაშვილისა (მარცხნივ) და ა. ნიკოლაუ (რუმინეთი) შეხვედრა.

მეგობრობამ არ იცის არც მანძილი, არც დრო. ეს კეთილშობილური გრძნობა ადვილად შლის ათეულ ათასობით კილომეტრიან მანძილს სხვაობას სხვადასხვა კუთხის ადამიანთა შორის და რაც დრო გადის უფრო აღუღაბებს და აღრმავებს მათ მეგობრობას.

პურის მოსავლის აღებისათვის მზადების დღეებში ჩაეყარა საფუძველი ქართველ სპორტსმენთა და ყამირი მიწების მხარის კოკჩეტავის ოლქისა და კზილ-ტუს რაიონის ახალგაზრდობის მეგობრობას. საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ინიციატივით ამ ზაფხულს ზემოაღნიშნულ რაიონებში საშეფო მუშაობის ჩასატარებლად ჩავიდა ქართველ სპორტსმენთა ჯგუფი 20 გამოცდილი ფიზკულტურული მუშაკის შემადგენლობით.

ტერიტორიულად ჩვენი რესპუბლიკის ოდენა ოლქში მაღალკვალიფიციურ ფიზკულტურულ სპეციალისტთა მინიმალური რაოდენობაც არ იყო და ქართველ სპორტსმენთა დელეგაციის გამოჩენას მათ მხარეში ყამირელი ახალგაზრდები გაშლილი ხელებით შეეგებნენ.

არ გაუმტყუნეს იმედი ყამირის გმირებს ჩვენმა სპორტსმენებმა და პირველი დღიდანვე გაშალეს ქმედითი მუშაობა ადგილებზე ფიზკულტურული საქმიანობის წამოსაწევად.

„მეგობრობის თასების" გათამაშებამ მძლეოსნობასა და ტყვიით სროლაში, საზოგადოებრივი მსაჯებისა და ინსტრუქტორების მოსამზადებელმა სემინარებმა, მრავალმა მეთოდურმა მითითებამ და უბრალო საქმიანმა საუბრებმა სამუდამოდ დაამეგობრა საქართველოსა და შორეული ყამირის მკვიდრნი.

ვალმოხდილი დაუბრუნდა ქართველ სპორტსმენთა ჯგუფი საქართველოს, წარმატებით განახორციელეს პურის მოსავალზე მიტანილი

## მეგობრები ჩვენთან ყამირის მხარიდან

შეტევა ყამირელებმაც. ამ პერიოდში მეგობრებს შორის არ შეწყვეტილა წერილობითი კავშირი.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. თ. მანაგაძის ხელმძღვანელობით შემდგარმა ყამირელებთან საშეფო მუშაობის კომისიამ გაითვალისწინა ყამირზე სპორტული დელეგაციის წევრთა შენიშვნები და ახალი ღონისძიებანი დასახა შორეულ მხარეში ფიზკულტურული მუშაობის წამოსაწევად.

ამ მიმართებით თბილისის სპორტკავშირმაც გადადგა მტკიცე ნაბიჯი და მათი მოწვევით ერთი კვირის წინ საქართველოში ჩამოვიდა კოკჩეტავის ოლქისა და კზილ-ტუს რაიონის ფიზკულტურულ მუშაკთა ხუთკაციანი ჯგუფი, რომლის მიზანია ადგილზე გაეცნოს ჩვენი მუშაობის მეთოდებს და შეფებთან ერთად შეიმუშაოს ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის სამოქმედო გეგმა.

დელეგაციის წევრებმა, რომელთა რიგებში არიან სპორტსაზოგადოება „კაირატის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარე გ. აბდულხანოვი, კოკჩეტავის რაიონული სპორტკავშირის თავმჯდომარე ი. ბარანოვი, კოკჩეტავის რაისამომხმარებლო კავშირის ფიზკულტურის კოლექტივის თავმჯდომარე ი. ხისამეტდინოვი და კზილ-ტუს რაიონის ჩერნიგოვის საბჭოთა მეურნეობის საზოგადოებრივი ინსტრუქტორები ი. კოვალენკო და ფ. კულინსკი, განაცხადეს, რომ ყამირ მიწებზე ქართველ სპორტსმენთა დელეგაციის მუშაობამ საგრძნობლად ამოძრავა კოკჩეტაველი ფიზკულტურელები.

ამ დღეებში ჩვენს სტუმრებს ქალაქის ყველა უბანში შეხვდებით, სადაც კი სპორტული ცხოვრება დუღს. ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი რამ აითვისონ და გადაიღონ ჩვენი ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობისაგან. მათ სიამოვნებით შეიტყვეს ის ამბავი, რომ ამიერიდან კოკჩეტავისა და კზილ-ტუს რაიონების ფიზკულტურულ კოლექტივებზე უშუალოდ იქნებიან მიმაგრებული ჩვენი სპორტსაზოგადოებები და რესპუბლიკის მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივები. მათი უშუალო დახმარება ყამირელებისადმი კადრებით, სპორტული ინვენტარით და თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებებით აამაღლებს შორეულ მეგობართა ფიზკულტურულ საქმიანობის დონეს და პატარა ეპიზოდად მაინც შევა ხალხთა მეგობრობის დიდ ისტორიაში.

გ. სამსონაძე

## საზღვარგარეთის ამბები



# აკრძალული დარტყმები

მრავალგვარი დარტყმა არსებობს კრივში, მაგრამ სპორტსმენი ყოველთვის ცდილობს იმ დარტყმის გამოყენებას, რომელსაც უტყუარად მოაქვს წარმატება და მაშასადამე, უფრო მეტად ეფექტურია. კრივის ისტორიას ახსოვს ბევრი ისეთი დარტყმა, რომელსაც სპორტსმენისათვის დიდი სახელი და დიდება მოუტანია.

ასეთი დარტყმების უმრავლესობა პირველად შემთხვევით სრულდებოდა და მხოლოდ მიღწეული ეფექტის შემდეგ ხდებოდა იგი პოპულარული.

1890 წელს კანადელმა ფრანგმა ჟ. ლაბლანშმა ერთერთი ბრძოლის დროს შემთხვევით გამოიყენა დარტყმა, რომელმაც მას დიდი წარმატება მოუტანა, მაგრამ მაშინ ამ დარტყმისათვის არავის არ მიუქცევია სერიოზული ყურადღება. უფრო მოგვიანებით ჟ. ლაბლანშს მოუხდა ბრძოლა სახელგანთქმულ ამერიკელთან ჯეკ დემპსისთან. ამერიკელს ხელთ ეპყრა ინიციატივა 31 რაუნდის განმავლობაში და აი 32-ე რაუნდში ლაბლანშმა ხელი მოუქნია მეტოქეს, მაგრამ ააცილა მას. კანადელმა დაკარგა წონასწორობა და ზურგი შეაქცია დემპსის. ამ უკანასკნელმა „ჯენტლმენობა" გამოიჩინა და მოწინააღმდეგეს გონს მოსვლის საშუალება მისცა. მაგრამ ლაბლანში მოულოდნელად შემოტრიალდა და მარცხენა ხელის ზურგის ნაწილით უძლიერესი დარტყმა მიაყენა დემპსის, რომელიც გრძნობადაკარგული გაიყვანეს რინგიდან.

ამ ნოკაუტმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სპორტულ სამყაროში, მაგრამ სულ მალე ეს საიდუმლო დარტყმა აიკრძალა და ლაბლანშიც გაჰქრა ჰორიზონტიდან.

1897 წლის მარტში, მსოფლიოს ახალი სენსაციური ცნობა მოედო. ავსტრალიელი მჭედელი რობერტ ფიტცსიმონსი მუცლის არეში დარტყმით ნოკაუტით ამარცხებს ჯეიმს კორბეტს და ხდება აბსოლუტური ჩემპიონი. მართალია, ეს არ იყო უცნობი დარტყმა, მაგრამ იგი სხვებზე უფრო წარმატებით გამოიყენა ამ ავსტრალიელმა მჭედელმა და ამიტომაც მან მისი სახელი მიიღო.

მსოფლიოს ჩემპიონი მსუბუქ წონაში ბატლინგ ნელსონი (დანია) „ბუროს" ხმარობდა თირკმელების არეში. ამ დარტყმამ მიიღო „მაკრატელის" სახელი, მაგრამ იგი მალე აკრძალულ იქნა. ირლანდიელი მოკრივე ფრენკ მორანი იყენებდა გაკვრულ მარჯვენა დარტყმას საფეთქელში. იგი ძალიან პოპულარული გახდა და კრივის ისტორიაში შევიდა, როგორც „მერი ენი".

ფილადელფიელმა მოკრივემ განმოუტ სმიტმა გამოიგონა დარტყმა, რომელსაც ორი სახელი ეწოდა: „საავადმყოფო" და „კურდღლის დარტყმა". სმიტი მუცელში დარტყმებს სერიით აიძულებდა მოწინააღმდეგეს ოდნავ დახრილიყო და მაშინ იგი ძლიერად ურტყამდა კეფაში. დარტყმა ხშირად სიკვდილს იწვევდა. ამ ხერხს წარმატებით იყენებდა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ჯეკ დემპსი. სპორტული საზოგადოებრიობის ენერგიული პროტესტის შედეგად იგი აკრძალულ იქნა.

1951 წელს მსოფლიოს ჩემპიონმა ქვესაშუალო წონაში კუბელმა კიდ გავილანმა გამოიყენა დარტყმა „ბოლო", რომლის ავტორიც იყო ფილიპინელი სეფერინო გარსია. გარსია ახალგაზრდობაში შაქრის ლერწმის პლანტაციებში მუშაობდა და ლერწმის ჭრის ტაქტი კრივში გადმოიტანა (ლერწამს ჭრიან გრძელი დანით, რომელსაც „ბოლო" ჰქვია).

კრივში არსებობდა კიდევ უამრავი დარტყმა, რომელთა შორის ნაწილი აიკრძალა, ნაწილს კი დღესაც წარმატებით იყენებენ მსოფლიოს უძლიერესი პროფესიონალი მოკრივეები.



# „დოლარის სტრატეგია" კალათბურთში

ამერიკის პროფესიონალ კალათბურთელთა თამაში ორიოდე სიტყვით ასე შეიძლება გადმოიცეს: გუნდი გადადის მოწინააღმდეგის ნახევარზე და მაშინვე, არის ეს მოსახერხებელი თუ არა — ტყორცნის კალათში. შემდეგ თუ ბურთი მიზანს ვერ ხვდება, იწყება გააფთრებული ბრძოლა ფარქვეშ; მოთამაშეები თავდავიწყებული ნახტომებით იჭრებიან ჰაერში ახხლეტილი ბურთის დასაუფლებლად, ამასთან ბრძოლა იმდენად სპორტული არ არის, რამდენადაც უხეში, ძალისმიერი; თვით პროფესიონალთა წესებითაა დაშვებული კორპუსით თამაში, ტანით ბლოკირება, ბურთისაგან მეტოქის ძალით მოცილება, ბიძგი ხტომაში... ხოლო ამერიკელი პროფესიონალები, ჩვეულებრივ, ამ „წესებსაც" კი არღვევენ. შემდეგ ასეთი სურათი მეორდება მოედნის მეორე ნახევარზეც, შემდეგ — ისევ პირველზე და ასე შემდეგ... ამიტომაა, რომ პროფესიონალთა თამაშს ხშირად ადარებენ საათის ქანქარის მონოტონურ მოძრაობას იქით და აქეთ.

მაგრამ ეს მხოლოდ გამოუცდელი თვალისათვის. კალათბურთის მცოდნე მაყურებლისათვის კი ამერიკელთა თამაში არ არის მონოტონური, ერთფეროვანი. გამუდმებულ, ხშირ შემთხვევაში მოუმზადებელ სროლებს პროფესიონალებს ორი რამ აიძულებს: დაცვის ძალისმიერი თამაში, რომელსაც განუსაზღვრელი უფლებები აქვს, და აუცილებელი მოგების უკიდურეს სიმძაფრემდე მისული სურვილი, რამდენადაც ყოველი მატჩი და საერთოდ, კალათბურთი, პროფესიონალისათვის არსებობის წყაროა, ხოლო მოგებული გუნდი გაცილებით მეტ ფულს იღებს. საერთოდ, თამაშის მძიმე პირობები აიძულებთ მათ ეძიონ რაც შეიძლება მეტი სიახლენი, მიაღწიონ რაც შეიძლება მაღალ ოსტატობას, რათა დაძლიონ მეტოქის დაცვა მოულოდნელობებით, ზუსტი და ელვისებური გადაცემებით, ჯადოქრული დრიბლინგით და რაც მთავარია — მიზანში მოხვედრის „ასტრონომიული" პროცენტით. აღსანიშნავია, რომ ამერიკული კალათბურთის ისეთი „ვარსკვლავები", როგორებიცაა ჩემბერლენი, შერმანი და კოუსი, თითქმის აღწევენ შედეგიანი ტყორცნების 50 პროცენტს, ე. ი. მათი ყოველი მეორე ტყორცნა ორქულიანია. აღსანიშნავია ისიც, რომ საშუალოდ პროფესიონალთა მატჩში ყოველი გუნდი 117 ქულას აღწევს ხოლმე, ხოლო სნაიპერები თავიანთ გუნდებს სეზონში 2000-3000 ქულას აძლევენ.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული „დოლარის სტრატეგიის" ერთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სპორტული მხარეა.

როგორღაც, პროფესიონალებში ახლად გადასულ ჩემბერლენს კითხეს მისი აზრი განვლილი სეზონის შესახებ. „ჯოჯოხეთურად ძნელია!". — უპასუხა მან. რატომ არის ძნელი? ჯერ ერთი, უხეშობის გამო, მუჯლუგუნები, კბილების ჩამტვრევა თავით, სახის დაზიანება—ყველაფერი ეს ჩვეულებრივი მოვლენაა პროფესიულ კალათბურთში, სადაც, ამასთან სპორტსმენს თითქმის ყოველ მეორე-მესამე დღეს უწევს თამაში. ამას ემატება მაყურებელთა განსაკუთრებული „პრივილეგიებიც". ჩვეულებრივ, პროფესიონალთა მატჩები პაპიროსის კვამლით დაბურულ დარბაზებში მიმდინარეობს. ამასთან, ხშირია შემთხვევები, როცა ტრიბუნებიდან მოედნისაკენ უხვად „იფრქვევა" დაჭმუჭნული ქაღალდები, ფორთოხლის ნაფცქვენები, დამპალი პომიდვრები და ლაყე კვერცხებიც კი!.. რატომ? იმიტომ, რომ პროფესიული კალათბურთის მთავარი მიზანია არა თვით კალათბურთი, არამედ კალათბურთის მეოხებით რაც შეიძლება მეტი ფულის „ამოქაჩვა". და თუ მაყურებელს რამეში შეზღუდავ, — ანგარიშობს ბიზნესმენი, — კალათბურთიდან დაკარგავ მის მნიშვნელოვან ნაწილს, ე. ი. დაკარგავ დოლარებს.

აქამდე მიდის „დოლარის სტრატეგია" კალათბურთშიც.

**სურათებზე:** ზევით—ორი „ვარსკვლავის" ორთაბრძოლა; ბილ რასელი ნახტომში ტყორცნის ბურთს, ხოლო უილტონ ჩემბერლენი ცდილობს „დააფაროს" მას. ქვევით — ბობ კოუსი სამი მცველის გარემოცვაშიც ახერხებს იპოვოს „გზა" კალათისაკენ.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის ჩემპიონი „ტოტენჰემი" და ჰოლანდიის ჩემპიონი „ფეინოორდი". ინგლისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1 და მოწინააღმდეგეს განმეორებით მატჩში მიიღებენ თავიანთ მინდორზე ლონდონში.

თასის მეორე წრის მატჩი ჩაატარა „ბენფიკამ" (პორტუგალია), რომელიც ვენაში შეხვდა ავსტრიის ჩემპიონს „აუსტრიას". თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

ამავე გათამაშებაში დამარცხება განიცადა „დუკლამ" (ჩეხოსლოვაკია), რომელმაც ანგარიშით 3:4 წააგო შეხვედრა შვეიცარიის „სერვეტთან". განმეორებითი მატჩი შედგება პრაღაში 19 ნოემბერს.

**რედაქტორი ი. უბულავა**

## მოდის მსხვერპლი

ერთხელ დილით გამაყრუებლად აწკრიალდა რედაქციის ტელეფონი.

— ალო, გისმენთ?

— ბოდიში, უფროსმა დამავალა გავიგო რა ქნა ნონამ?

— კვლავ მოიგო.

— გეთაყვა, რა ანგარიშით?

— როგორ? გაიმეორეთ...

და ყურმილი დაიკიდა.

# კრამერის თასზე

როგორც ცნობილია, ჯეკ კრამერი ყოველწლიურად აწყობს თასის გათამაშებას, სადაც მხოლოდ პროფესიონალი ჩოგბურთელები მონაწილეობენ. წელს „კრამერის თასის" გათამაშება გაიმართა ბარსელონაში. ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდნენ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიისა და ლათინური ამერიკის გუნდები.

პირველ მატჩში ძნელი გამარჯვება (3:2) დარჩა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს. ლიდერთა შეხვედრაში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა გონზალესმა სენსაციური დამარცხება განიცადა ესპანეთის ჩემპიონ გიმენოსთან — 7:5, 5:7, 10:12, 1:6. საფრანგეთის ჩემპიონმა ჰეილემ სძლია ტრაბერტს—1:6, 6:3, 6:4, 10:8, გონზალესმა მოუგო ჰეილეს—8:6, 6:2, 6:2, ტრაბერტმა — გიმენოსს — 6:3, 6:4, 6:1. ამერიკელებმა მოიგეს წყვილთა შეხვედრა, რამაც მათ გუნდური გამარჯვება მოუტანა.

ავსტრალიელებმა იოლად (4:1) მოუგეს ლათინური ამერიკის ნაკრებს. ჰოადმა დაამარცხა ოლმედო (პერუ) — 4:6, 6:4, 6:0, 10:8, როზუელმა — სეგურა (ეკვადორი) — 7:5, 6:1, 6:4 და ოლმედო —6:3, 6:4, 6:2. შემდეგ ჰოადმა და როზუელმა წყვილთა შეჯიბრებაში დაამარცხეს სეგურა და ოლმედო—6:3, 6:3, 3:6, 6:3. ერთადერთი ქულა თავის გუნდს მოუტანა ჩოგბურთის ვეტერანმა სეგურამ, რომელმაც სძლია ანდერსონს—2:6, 6:3, 6:2, 6:3.

ამგვარად, საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში გავიდნენ ავსტრალიისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები. თასის ფინალი გაიმართება ნოემბრის შუა რიცხვებში იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკა).

**12-13 ნოემბერი**

**ხელბურთი**
**საქართველო-ჩეხოსლოვაკია**

**14 ნოემბერი**

**კლასიკური ჭიდაობა.**
**საქართველო-იაპონია**

**15-16 ნოემბერი**

**კრივი**
**საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა**
შეხვედრების დასაწყისი 19 ს. 30 წ.

მეორე სკოლა-ინტერნატის კოლექტივი იუწყება ფიზიკური აღზრდის ძველი მუშაკის, ამავე ინტერნატის დირექტორის მოადგილის ნიკოლოზ ლავრენტის-ძე ჯოხაძის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-36-09, გამომშვების — 3-01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 05683